6001/3-113/22 2 05072022

6001/3-113/22
05-07-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ზურაბ აზარაშვილს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოგმართავთ შემდეგ საკითხზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუგდიდის პოლიკლინიკა" 1992 წლიდან ფუნქციონირებს. 60-მდე ადამიანი არის დასაქმებული და სამედიცინო სერვისებს შეღავათიან ფასებში იღებს 60 000-მდე დევნილი, რომელთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია. აღნიშნული კლინიკის სერვისით სარგებლობენ ის ადამიანები, რომლებიც გადმოდიან ოკუპირებული ტერიტორიებიდან. საგულისხმოა, რომ ექიმებმა პოლიკლინიკა საკუთარი, პირადი სახსრებით ააშენეს და შეძლეს კლინიკის სრულფასოვნად გამართვა.

პოლიკლინიკის ექიმების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აღნიშნული ფართის აუქციონზე გატანასა და გაყიდვას აპირებს. მათი თქმით, სამედიცინო დაწესებულება, მართვის უფლებით, დავით ტატიშვილის სახელობის სამედიცინო ცენტრს უნდა გადაეცეს, რასაც პოლიკლინიკის დირექტორის შეცვლა მოჰყვება. ექიმები ვარაუდობენ, რომ გაიზრდება სამედიცინო მომსახურების ფასები, რაც პაციენტების სიმცირესა და, სამომავლოდ, მედ-პერსონალის გათავისუფლებას გამოიწვევს.

არსებობს ინფორმაცია, რომ პოლიკლინიკის განახლებული ადმინისტრაცია გეგმავს გააერთიანოს ზუგდიდის, ჯვრისა და ხობის პოლიკლინიკები, შეცვალოს პროფილი და გადააკეთოს ის ტრავმატოლოგიურ ცენტრად. გაურკვეველია პოლიკლინიკისა და მედ-პერსონალის ბედი, რომლებიც 60 000-მდე დევნილს სამედიცინო დახმარებას შეღავათიან ფასებში სთავაზობენ.

გთხოვთ, შემჭიდროვებულ ვადებში მომაწოდოთ სრული ინფორმაცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. აგრეთვე, გეგმავთ თუ არა, კლინიკის ადმინისტრაციასა და ექიმებთან შეხვედრას.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე